პროგრამა "სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (პროგრამული კოდი 32 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა

- გაფორმებულია ხელშეკრულება 2022-2023 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სერტიფიკატების შესყიდვის მიზნით;
- 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი და რელიეფური სახელმძღვანელოები, ასევე გაციფრულებულია მუსიკის, ქართული როგორც მეორე ენის, ბუნებისმეტყველების, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები. ასევე შექმნილია აპლიკაციისთვის საჭირო ინსტრუქციული ვიდეო რგოლები;
- გაფორმებულია ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- გაფორმებულია ხელშეკრულება წარჩინებული მოსწავლეებისთვის გადასაცემი 4 846 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით;
- 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელდა თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირება, ასევ შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების ტრანსპორტირებით მომსახურება;
- დაფინანსებულია მუნიციპალიტეტები, მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულებები მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი/კარტრიჯის და პორტაბელური კომპიუტერების შესყიდვის მიზნით.
- სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 7 საჯარო სკოლაში, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 73 საჯარო სკოლაში;
- სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 94 საჯარო სკოლაში, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და რაბილიტაციის წინა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 61 საჯარო სკოლაში.
- ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 4 საჯარო სკოლაში;
- 74 საჯარო სკოლაში დასრულდა და 17 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამუშაოები მზაობის კლასების მოწყობის მიზნით;

- შესყიდული 68 335 მერხების და სკამების კომპლექტიდან საანგარიშო პერიოდში 338 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 8 905 ერთეული მერხიდა და სკამის კომპლექტი;
- 537 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით;
- საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად შესყიდულია 2 500 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერიი ;
- გაფორმებულია ხელშეკრულება საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად 334 ერთეული პრინტერისა და კარტრიჯის შესყიდვის მიზნით;
- 107 საჯარო სკოლა დაფინანსდა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო, ინვენტარით აღჭურვის და ტექნიკური მდგრადობის განსაზღვრის მიზნით;
- მიმდინარეობს 4 პროფესიული სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობს 1 პროფესიული კოლეჯის ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-სახელოსნო კორპუსის სამშენებლო საპროექტო/ სამუშაოები;
- 2024 წელს აღიჭურვა 3 პროფესიული სასწავლებელი 420 კომპლექტი სასკოლო მერხით და სკამით.
- მიმდინარეობს 2 სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N2 შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დაფინანსდა სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი, პერსონალური და პორტაბელური კომპიუტერების და უწყვეტი კვების წყაროებით აღჭურვის მიზნით;
- დაფინანსდა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ქუთაისის კამპუსის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით.
- დასრულდა 2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საპროექტო და 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობს 1 კვლევითი ცენტრის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის და 1 კვლევითი ცენტრის ღობის და აუზის მოწყობის სამუშაოები; ასევე საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულება 1 კვლევითი ცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარე პროექტებზე ხორციელდებოდა საზედამხედველო და სამშენებლო მონიტორინგის ღონისძიებები.

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- გაფორმებულია ხელშეკრულება 2022-2023 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სერტიფიკატების (5 684 მოოქროვილი მედლის და 1 441 მოვერცხლილი მედლის) შესყიდვის მიზნით.

პროგრამა "მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 32 02 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საჯარო სკოლებისთვის მიწოდებულია 72 ერთეული ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი და 10 ერთეული რელიეფური სახელმძღვანელო.
- 2023 წელს გაფომებული ხელშეკრულების ფარგლებში გაციფრულებულია: მუსიკის ქართული როგორც მეორე ენის, ბუნებისმეტყველების ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები, ასევე შექმნილიააპლიკაციისთვის საჭირო ინსტრუქციული ვიდეო რგოლები. გაფორმებულია ხელშეკრულებები I, II, XI, კლასის სახელმძღვანელოების რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

პროგრამა "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 32 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელდა თბილისის 38 საჯარო სკოლის 11 124 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 25 საჯარო სკოლის 400 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება;
- დაფინანსებულია 56 მუნიციპალიტეტი 1 139 საჯარო სკოლის 74 940 მოსწავლის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი'' (პროგრამული კოდი 32 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის'' ფარგლებში შესყიდული 58 000 ერთეულიდან განხორციელდა 27 985 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის/ბუქის მიწოდება საჯარო სკოლებისთვის.
- გაფორმებულია ხელშეკრულება წარჩინებული მოსწავლეებისთვის გადასაცემი 4 846 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით.

პროგრამა "ზოგადი განათლების ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 32 02 12 04)

განხორციელდა საბოლოო ანგარიშსწორება 2023 წელს საქართველოს საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის საგნის „თავდაცვა და უსაფრთხოების" შესაბამის აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში , ჯამური ღირებულებით 66.18 ათასი ლარი.

პროგრამა "საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა" (პროგრამული კოდი 32 02 14 03)

საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების (საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა) ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა გარკვეული აქტივობები. კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულება 816 ერთეული A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისა და კარტრიჯის შესყიდვის მიზნით. ჯამური ღირებულებით 1 094.26 მლნ ლარი;
- 2023 წელს საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად 13 702 ერთეული პორტაბელური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით (ჯამური ღირებულებით 19 765.14 მლნ ლარი) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულია 6 127.19 მლნ ლარი. 145 საჯარო სკოლისთვის მიწოდებულია 4 768 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი ;
- საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია ხელშეკრულება 15 654 ცალის პორტაბელური კომპიუტერის შესყიდვის მიზნით, ჯამური ღირებულებით 24 827.24 მლნ ლარი. საავანსო გარანტიის საფუძველზე მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია 17 379.07 მლნ ლარი.

პროგრამა "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება" (პროგრამული კოდი 32 07 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები 5 საჯარო სკოლაში (სსიპ ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული საჯარო სკოლა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე მიწის ნაკვეთზე ახალი სკოლის მშენებლობის სამუშაოები, სსიპ ქალაქ გორის N11 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N10 საჯარო სკოლა);
- საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციით 75 საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 2 საჯარო სკოლაში დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 73 სკოლაში მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და მშენებლობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები;
- სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 5 საჯარო სკოლაში (სსიპ ქალაქ თბილისის N160 საჯარო სკოლა, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის სსიპ ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლა, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის საჯარო სკოლა);
- საქართველოს რეგიონებში დიზაინ ბილდის კონცეფციით გაფორმებული 150 საჯარო სკოლის სრული სარებილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებიდან, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია 89 საჯარო სკოლაში, ხოლო დანარჩენში მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისა და რეაბილიტაციის წინა მოსამზადებელი სამუშაოები;
- დასრულებულია 4 საჯარო სკოლის (სსიპ ქალაქ თბილისის N69 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N1 საჯარო სკოლა და საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიხას საჯარო სკოლა) და მიმდინარეობს 4 საჯარო სკოლის (სსიპ ქალაქ თელავის N1 საჯარო სკოლა, სსიპ - ვახტანგ ფირცხალავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N4 საჯარო სკოლა და სსიპ ქალაქ ჭიათურის N4 სკოლა) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 74 საჯარო სკოლაში დასრულდა და 17 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამუშაოები მზაობის კლასების მოწყობის მიზნით;
- 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული 68 835 მერხისა და სკამის კომპლექტიდან საანგარიშო პერიოდში 338 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 8 905 ერთეული მერხისა და სკამის კომპლექტი;
- 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე წელს 537 საჯარო სკოლა აღიჭურვა სამედიცინო ავეჯით;
- საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად შესყიდულია 2 500 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი ;
- გაფორმებულია ხელშეკრულება საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად 334 ერთეული პრინტერისა და კარტრიჯის შესყიდვის მიზნით;

- დაფინანსებულია 70 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით. 37 საჯარო სკოლა დაფინანსებულია სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისა და სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობისა და მის შესაბამისად ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის მიზნით.

პროგრამა "პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება" (პროგრამული კოდი 32 07 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიმდინარეობს 4 პროფესიული სასწავლებლის (ბორჯომისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახალი პროფესიული სასწავლებლების, სსიპ კოლეჯი „ბლექსი"-ს და გურჯაანის კულინარიული კოლეჯის) სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობს სსიპ კოლეჯ „პრესტიჟი"-ს ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-სახელოსნო კორპუსის სამშენებლო საპროექტო/ სამუშაოები;
- 2024 წელს აღიჭურვა 3 პროფესიული სასწავლებელი 420 კომპლექტი სასკოლო მერხით და სკამით.

პროგრამა "სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება" (პროგრამული კოდი 32 07 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მიმდინარეობს 2 სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის/არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის შენობის მესამე სართულის და გათბობის სისტემის და ქალაქ ზესტაფონის რესურსცენტრის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N2 შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დაფინანსდა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის, ქუთაისის კამპუსის სრული სარეაბილიტაციო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით.

- გამოცხადებულია ტენდერი 4 ერთეული მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით
- დაფინანსდა სსიპ - საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი, პერსონალური და პორტაბელური კომპიუტერების და უწყვეტი კვების წყაროებით აღჭურვის მიზნით;

პროგრამა "უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება" (პროგრამული კოდი 32 07 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- დასრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის ხანძრის შედეგების დაზიანებული ნაწილის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები და ასევე სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მეორე სართულის შენობის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი"-ს დამატებითი კორპუსის საპროექტო სამუშაოები;
- მიმდინარეობს სსიპ ქალაქ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში ახალი ბიბლიოთეკის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის და დაბა აბასთუმანის, სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ღობის და აუზის მოწყობის სამუშაოები;
- გაფორმებულია ხელშეკრულება სსიპ საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის "აზტ-11"-ის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით;

პროგრამა "საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება" (პროგრამული კოდი 32 07 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საანგარიშო პერიოდში ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებულ 49 საჯარო სკოლაში დასრულდა არსებული ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების ერთჯერადი მომსახურება;
- 84 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია 346.78 ტონა საწვავი ბრიკეტით;
- 62 საჯარო სკოლა დაფინანსდა 356 640 ლარით საწვავი ბრიკეტების შესყიდვის მიზნით.

პროგრამა "პროფესიული განათლება I (KfW)" (პროგრამული კოდი 32 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის „პროფესიული განათლება I (KfW)" ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტი TVET Program I-ის ფარგლებში დასრულდა ბაზრის კვლევა „ექსელენს ცენტრის" სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით. მშენებლობის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 22 000 000 ევროს. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს ახალი საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც ითვალისწინებს განახლებული სატენდერო დოკუმენტაციის შეთანმხმებას.